ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/12

დაბა ქედა, **11 ნოემბერი, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:40 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 23.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ამირან დევაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
რამაზ თავდგირიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარე;
თენგიზ ყადიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე -საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ გოგიაშვილი-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე-საკრებულოს წევრი;
დურმიშხან შავიშვილი-საკრებულოს წევრი;
მურად დიასამიძე-საკრებულოს წევრი;
ჯამბულ შარაბიძე-საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/12 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

11 ნოემბერი, 2025 წელი

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	რამაზ თავდგირიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მერაბ ტაკიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	ანზორ გოგიაშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	არკადი საკანდელიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ზვიად არძენაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	თენგიზ ყადიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
19	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	დურმიშხან შავიშვილი	საკრებულოს წევრი	
21	მურად დიასამიძე	საკრებულოს წევრი	
22	გივი ლორთქიფანიძე	საკრებულოს წევრი	
23	რამაზ ალიქაძე	საკრებულოს წევრი	
24	ჯამბულ შარაბიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

3. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

4. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

5. **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი “-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 ნოემბრის №01-06/12 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურის უფროსის მ/შ ეკა გოგუაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რეგისტრაციის ნომერი №12-95253141-95; 10.11.2025) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:13; 11.11.2025 წელი).

2 . მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რეგისტრაციის ნომერი №12-95253003-95; 27.10.2025) და განმარტა, რომ „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29

დეკემბრის №26 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.134.016234. 09/01/2018) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1.დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-20[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20[1]. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

1. მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მათ შორის: სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა, კანონმდებლობით დადგენილი მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს პერსონალური მონაცემები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) პირადი ნომერი;

დ) დაბადების თარიღი;

ე) სქესი;

ვ) მოქალაქეობა;

ზ) ინფორმაცია პირის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ;

თ) ინფორმაცია საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის შესახებ;

ი) ფოტოსურათი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. მერია ვალდებულია საქმისწარმოების პროგრამაში ცალკეული ფუნქციების გათვალისწინებით განსაზღვროს მონაცემთა კონკრეტული მოცულობა.

4. ამ მუხლის მიზნებისთვის მერია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით და მკაცრად რეგლამენტირებულად.

5. ამ მუხლის მიზნებისთვის მერია, ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N14; 11.11.2025 წელი).

3.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (რეგისტრაციის ნომერი №12-95253144-95; 10.11.2025) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანა კერძოდ, საშტატო ნუსხაში არსებული ფრაქციის მოადგილეების რაოდენობის 5-დან 7-მდე გაზრდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N15; 11.11.2025 წელი).

4. მოისმინეს:„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (რეგისტრაციის ნომერი №12-95252931-95; 20.10.2025) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია სოფელ ჭალახმელაში მდებარე 3002 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.13.31.382) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოთ გადაცემა შემდგომში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. აქვე განმარტა, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა. აღნიშნული ღონისძიებებით დაგეგმილია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში. რომლის განხორციელების შემდგომ შეიქმნება სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. აღნიშნული მიზნით დაგეგმილია როგორც აჭარის/სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებებზე, ასევე დაურეგისტრირებელ და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე წყალმომარაგებისათვის (წყალამღები, წყლის გამწმენდი, რეზერვუარები და ა. შ.), ასევე წყალარინებისათვის (ჩაშვებული წყლების გამწმენდი) საჭირო ნაგებობებისა და შესაბამისი სანიტარული ზონების მოწყობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება Nგ-95.95253153; 11.11.2025 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი "-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი "-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (რეგისტრაციის ნომერი №12-95252958-95; 22.10.2025) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 16 ოქტომბრის №7582/02 წერილით მოთხოვნილია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ერთი ერთეული ქონების კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჭალახმელაში მდებარე 3002 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.13.31.382) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოთ გადაცემა შემდგომში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. ასევე გაცნობებთ, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა. აღნიშნული ღონისძიებებით დაგეგმილია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში. რომლის განხორციელების შემდგომ შეიქმნება სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. აღნიშნული მიზნით დაგეგმილია როგორც აჭარის/სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებებზე, ასევე დაურეგისტრირებელ და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე წყალმომარაგებისათვის (წყალამღები, წყლის გამწმენდი, რეზერვუარები და ა. შ.), ასევე წყალარინებისათვის (ჩაშვებული წყლების გამწმენდი) საჭირო ნაგებობებისა და შესაბამისი სანიტარული ზონების მოწყობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №-95.95253152; 11.11.2025 წელი).

6.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/ს ეკა გოგუაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში (რეგისტრაციის ნომერი №12-95252952-95; 22.10.2025) დანართის ერთად საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა ჯამბულ შარაბიძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №-95.95253151; 11.11.2025 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**